წელიწადი მეცხრე — № 431

პარასკევი. 12 ივლისს 1874.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

ტფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ. სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: ტფილისი, 12 ივლისს — წვრილი ამბები — თუ ქართულად არა, რუსულით მაინც — „დროების“ კორრესპონდენცია: ქუთაისიდგან — გუმბრიდგან — ორიოდე სიტყვა მარტვილის სასულიერო სასწავლებელზედ — რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები — უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი: სამუქაფოდ.

# „დროება“

ხელის-მოწერა მიიღება: ტ ფ ი ლ ი ს ს — „დროების კანტორაში, ივანოვის ბიბლიოთეკაში. ქ უ თ ა ი ს ს — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

„დროება“ ღირს გაგზავნით: ერთ-წლით — ე ქ ვ ს მანეთად, ნახევარი წლით სამ მანეთად.

---

**ვისაც წრევანდელი, ან შარშანდელი გაზეთის ფასი არ შემოუტანია, ვთხოვთ გამოგზავნონ რედაქციის კანტორაში.**

---

# საქართველო

ტფილისი, 12 ივლის 1874 წ.

ქართველის ტომის ხალხთ შორის, იმერლები მომეტებულად ცხოველს და მოძრავ ძალას წარმოადგენენ უთუოდ. ამ თვისებებს იმერელს ვერავინ წაართმევს. მაგრამ, სამწუხაროთ, ის, რაც სხვა ბედნიერ მდგომარეობაში გამოსადეგი და მოსაწონი იქნებოდა, დღეს არა თუ სასარგებლო არ არის, არამედ ცხად და უდაო ნაკლულევანებათ უნდა ჩაითვალოს.

სხვა შემთხვევაში, ვამბობთ ჩვენ, მისი ბუნებითი სიცხოველე და მოძრაობა უეჭველად მოუპოებდა იმერელს საზოგადო პატივს ნიჭიერების სახელს, უპირატეს ადგილს განათლებულ ხალხთ-შორის. მაგრამ ეხლა, საუბედუროთ ამ ძვირფასს თვისებებს სულ წინააღმდეგი ნაყოფი მოაქვს.

ქვეყანა, რომელსაც აქვს რომელიმე ზნეობითი, ან გონებითი ძალა, სცდილობს ყოველთვის, რომ თავის ნიჭი გამოიყენოს უთუოდ. თუ საზოგადოებრივი მდგომარეობა ისეთია, რომ თითოეულს წევრს შეუძლია მოიხმაროს საკუთარი ჭკუის ძლიერება, მისი ზნეობითი ღირსება საზოგადო სარგებლობისთვის, მაშინ ამნაირი ბედნიერი ქვეყნის მომავალი ბეჯითად ნათელი და სანუგეშო იქნება. მაგრამ უბედურება იმაშია, როდესაც ხალხი, ისტორიული მიზეზების გამო, იძულებულია თავისი ნიჭიერება, ბოროტებას მოანდომოს.

ბუნებით ნიჭს, სიცოცხლის სურვილს, არ შეუძლია მოისვენოს და გულ-ხელ-დაკრეფილი უმზიროს ცხოვრებას. ის ნიადაგ ეძებს მოქმედებას, ელტვის მონაწილეობის ილებას საზოგადო ცხოვრებაში და ვერ-ითმენს უსაქმობას.

ამ შემთხვევაში საზოგადოების ზნეობითი ენერგია, რომელსაც შესაფერი გზა არა აქვს, მიემზგავსება შეგუბებულს წყალს. როგორც ერთს ისე მეორესაც თუ საშუალება არ მიეცა სასარგებლოთ იდინონ, მაშინ წარმოუდგენელია სათავის გაუგლეჯელობა და არე-მარეს ნიაღვარით აუოხრება. კარგი ოჯახის კაცმა, იცის ეს კანონი და ამიტომ ის ყოველთვის თავის სასარგებლოთ ხმარობს ბუნების ძალას. საზოგადოების მზრუნველებზედ კი ყოველთვის ესევე არ ითქმის... მაგრამ მოუბრუნდეთ ჩვენს საგანს:

ამბობენ, ვითომ იმერეთი ყოველგვარი საჩივრისა და დავის მადანი არისო. ეს რასაკვირველია, გარდამეტებული ცილის წამებაა იმერლებზედ. მაგრამ არც სულ ისე უსაფუძვლოა. უნდა აღვიაროთ, რომ არსად არ არის ჩვენს სამშობლოში იმდენი საჩივარი, უთანხმოება, ბრძოლა სხვა და სხვა ანგარიშების გამო, როგორც იმერეთში. რასაკვირველია ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზები ბევრია და მათ შორის უმთავრესნი: სიღარიბე, გაუნათლებლობა, უსაქმობა, ბუნებითი მოძრაობის და ფაცა-ფუცის ხალისი.

მაგრამ ყველა ესენი ჰქრება, როდესაც ყურადღებით შეხედავს კაცი იმერეთის ცხოვრებას. იქ ყველაფერი განუმარტებული, საძაო და საცილებელია....

ჩვენმა ხალხმა კარგათ უნდა იცოდეს, რომ ერთმანეთის გადაკიდება, უთანხმოება, და თხრეშა გვავნებს მ ხ ო ლ ო დ ჩ ვ ე ნ! იმითი, რომ ქართველებმა ერთმანერთი დავასუსტოთ, არავის არ აუტირდება შვილი ჩ ვ ე ნ ს გ ა რ დ ა!

ყოველი ჩვენი შეცთომა, ყოველი ჩვენი ძალის გამოლევა, ესარგებლება მარტო ჩვენს საზოგადო მტერს, რომელიც საშინელი რკინის ქუსლებით სთელავს საქართველოს. ეს მტერი არის უ მ ე ც რ ე ბ ა...

ხალხი აგრეთვე როგორც კერძო პირიც დაადგება ხოლმე ყალბ მიმართულებას. ის ივიწყებს მაშინ, ან ვერ ხედავს ნამდვილს მის საბრძოლველ და სასასოებელ საგანს და წვრილმანს წინააღმდეგობაში ალამებს დღეს მაშინ როდესაც საერთო შრომა, დახმარება ძალის მიტანებაა საჭირო. გზა დაბნეული ხალხი გამოდგომია ისეთ რამეების დაცვას, რომელიც სრულიად ვერ იხსნის მას სიკვდილისაგან. ქვეყანას არ ესმის, რომ ერთობა და სიყვარული ისეთი საჭირო თვისებათაგანია ხალხისთვის, რომელიც აძლევს მას გამარჯვებას და უქადის უეჭველად ბედნიერ მომავალს,

ამ ნაირ საყოველთაო გახრწნისა და შეცთომილების დროს საჭიროა გახსენება იმ უბრალო ჭეშმარიტებისა, რომ მ ხ ო ლ ო დ ერთობა შეჰქმნის ძლიერებას.

მეველე.

## წვრილი ამბები

— ტფილისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის წესდება დაბეჭდილია „ტფილისის მოამბის“ უკანასკნელ ნომერში. ამ წესდებას მკითხველები „დროების“ შემდეგ ნომერში ნახვენ.

— შევიტყვეთ, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის კამმისიას როგორც იქნა გაუბედავს და წესდების დასამტკიცებლად წარდგენას აპირებს.

— ამბობენ, რომ დარიალის რკინის გზის გაკეთება საიმედო არისო, რადგანაც საგზო ადგილების საფუძვლიანად გამოკვლევა გარდაუწყვეტიათ.

— მომავალს კვირას ქუთაისში „მზის დაბნელების“ და „ჯიბრიდგან“ ერთი სცენის წარმოდგენას აპირებენო. ჩვენის აზრით ეს ცუდი არჩევანია, ამიტომ რომ „მზის დაბნელება“ შინაარსით იმდენი არაფერია, რამდენიც გარეგანის სანახაობით და ქუთაისის სამეფო სახლის სცენაზედ ამ კამედიის ხეირიანად წარმოდგენა მოუხერხებელია. „ჯიბრი“ ისეც ერთობ პატარა კამედია იყო და რაღა შემოკლება სჭიროდა ეს პიესა უთუოდ სულ უნდა წარმოედგინათ, იმ გარემოების მიხედვით მაინც, რომ

---

# სამუქაფოდ

**ა. პ ო ე ტ თ ა:**

**გრიგოლ ორბელიანს**

მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან!

—

**ილია ჭავჭავაძეს.**

მთა-კლდეთ შეჰბლავის, ჩასძახის ქვესკნელს,
წყალსა მიჰყვირის მსწრაფლს მიმავალსა,
მაგრამ ვერ ჰპოვებს ნუგეშის-მცემელს
და უმრავლდება წყლული საწყალსა.

—

**აკაკი წერეთელს.**

ღმერთო! რა მიყვარს ეს მწარე მოთქმა!.
ვეტრფიალები ამ ჩემსა ჩანგსა! —
მხოლოდ იმისი ეს მაცდური ხმა
გულს გადამფერავს მოდებულს ჟანგსა.

—

**კოლხიდელს.**

რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მლმეჭელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!

—

**ფაზელს**

სულო ბოროტო, მინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?!

—

**ჭალადიდელს.**

შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ოსმალეთსა?

**რაფიელ ერისთავს.**

მაგრამ, ლამაზო, გული არ სჭკნების, —
წინწკალი მაში ცხოვლად იხრწნების;
თუ მოეკარე — მსწრაფელ აღენთების,
იფეთქებს, დაგწვავს, თვითაც დაიწვების.

—

**წყალტუბელს.**

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა!

—

**დავით ერისთავს**

მე თუ გინდა თავიც მომჭრან, ტანის გახდეგასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახა-ბერსა, მე ვერ ვიტყვი კახა-ბერად

—

**დიმიტრი ბერიევს**

კახურის ღვინით აღვსილი
აზარფეშა ხელში გვეპყრას;
მოთალი, თევზი, მწვანილი
აგვიჭრელებდეს წინ სუფრას.

—

**ბ. პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ თ ა:**

**ანტონ ფურცელაძეს**

—

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი!...

—

**პეტრე უმიკაშვილს.**

თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი!

—

**სერგეი მესხი.**

აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომა აჩეჩოს მარტო მიწანი!

ჩვენი საზოგადოება აზრიანი თხზულებებით გართობას შესჩვევოდა.

---

— შევიტყვეთ, რომ ქუთაისში ერთ ვილაცას ახალი ქართული ჟურნალის გამოცემა განუზრახავს, რომელსაც „კოლხიდა" ერქმევათ სახელად. ამ ჟურნალში პოლიტიკაც უნდა იქმნესო და თანამშრომლებს და სხვებსაც სტატიებში ფულებს მისცემენო. კაი და კეთილი. მაგრამ ვინ არის ეს როდშილდი, რომელიც ჩვენში ამდენი ხარჯის გაწევას ჰფიქრობს? თუ იმას ჰგონია, რომ ხელის მომწერლებისაგან აღებული ფული ეყოს ამ გვარად ჟურნალის გამოცემას!

---

— ამას წინათ ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ჩვენში ერთი კაცი გამოჩენილა, რომელიც ქართველი ტრუპპის შედგენას ფიქრობსო. ამ ამბის სინამდვილე რაც დრო მიდის უფრო გვჯერა, — ჩვენ კიდევ მივიღეთ ამისი დამამტკიცებელი ცნობები.

---

## თუ ქართულად არა რუსულით მაინც.

„პეტერბურის უწყებებში" დაბეჭდილია ერთი კორრესპონდენცია ფოთის ქალაქიდგან, რომლიდგანაც ვტყობილობთ, თუ რა ყოფილა იმისი მიზეზი, რომ ამა წინათ ფოთის ქალაქსა და რკინის გზის სტანციას შუა ცეცხლის გემი აღარ დადიოდა მგზავრებისა და ბარგის გადასატან-გადმოსატანად. ამ კორრესპონდენციისაგანვე სჩანს, თუ რადენად პატივსა სდებს ფოთი-თფილისის რკინის გზა საზოგადოების საჭიროებას, თუმცა ეს დაუდევრობა თვითონ რკინის გზისათვისაც მავნებელია.

ფოთი-თფილისის რკინის გზაზედ, სახელდობრ ფოთის სტანციაზედ, ლამაზად გამოუკიდებიათო, ამბობს კორრესპონდენტი, განცხადება, რომ, რკინის გზის საზოგადოებაზედ დაუმოკიდებლის გარემოებებისა გამო, პირველის ივნისიდგან ფოთში მოსულ მგზავრებს ცეცხლის გემით კი არა ნავებით გადიყვანებენო რიონზედ. ეს საზოგადოებაზედ დაუმოკიდებული გარემოებები აი რაში მდგომარეობს: რიონზედ მატარებელს ცეცხლის გემს უფრო სასარგებლო სამუშაო უპოვნია ყუბანის მდინარეზედ და ფოთი-თფილისის რკინის გზის საზოგადოებასაც სასარგებლოდ დაუნახავს, რომ ამ ცეცხლის გემისთვის არ მოეცდევინებია და მაშასადამე თვითონ განთავისუფლებულიყო იმ ხარჯისაგან, რასაც ამ ცეცხლის-გემის დაქირავებისათვის სწევდა. რკინის ხიდი რიონზედ მზად იქნება ნოემბერში. ნუთუ საზოგადოებას არ შეეძლო, რომ ეს ცეცხლის გემი ნოემბრამდის არ გაეშვა? ყველამ იცის, რომ ჩქარ რიონზედ ქარში ნავით გადასვლა და გადმოსვლა შეუძლებელია. რა უნდა ქნან მაშინ მგზავრებმა? უქაროთაც მაინცა და მაინც სასიამოვნო არ არის ღამე, ან ღილას, როცა სქელი ნისლია, ნავებით ჩქარ წყალში გასვლა.

მართალია, ფოთი-თფილისის რკინის გზის მგზავრები განებივრებული არ არიან; ისინი ორი წლის განმავალობაში შეეჩვიენ ორჯერ გადაჯდომა-გადმოჯდომას სამასი ვერსის სიგრძეზედ, იმ მიზეზით, რომ ყველა ვაგონებს საბორკავები არ აქვთ ჯერ გაკეთებულიო. საკვირველია, რომ ორი წლის განმავალობაში ათიოდე ვაგონისთვის ვერ გაუკეთებიათ საბორკავები; ამ გადაჯდომა-გადმოჯდომას უთუოდ სხვა უფრო დიდი მიზეზი უნდა ჰქონდეს.

მგზავრები შეეჩვიენ ცეცხლის ეტლის ზოზინით სიარულს, ნამეტურ სურამის მთებში, სადაც ისე ნელა მიდიან ვაგონები რომ შეიძლება გადმოხტეთ, ყვავილები დაუკრიფოთ და ისევ მოეწიოთ ჯაგჯაგით მიმავალ ვაგონებს.

მგზავრები შეჩვეული არიან აგრეთვე საძაგელ ბუფეტებს, ბალლინჯებს ვაგონებში, და ცეცხლის ეტლის ცდის წვიმაში; ამასგარდა ვაგონებში იმდენს ხალხს აჯენენ, რომ ვერ ეტევიან. და ისინი, ვინც ამას თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს, ამბობენ, რომ ყველაფერი კარგად არისო—არავის არ უჩივლიაო.

ცუდი არ იქნებოდა, რომ ახალს საზოგადოებას ამ რკინის გზისთვის უფრო ყურადღება მიექცია, და საფუძვლიანად შეეკეთებინა ისა. ხიდეები სანახევროდ გაფუჭებულია, ნაყარი მიწა შუდგება ან ძირს იწევს, ვაგონები და ცეცხლის ეტლები დაძველებულია, იმათი შეკეთება ძნელდება, რადგანაც სახელოსნოები ძლიან პატარაა სამასი ვერსტის სიგრძე გზისათვის, რომელიც ძლიერ იკლაკნება და ორი ვერსტის სიგძეზედ ორმოცდა ხუთი საჟენის სიმაღლე ალმართში ადის. გზის მცველობა მოუხერხებელია, რადგანაც თორმეტს ვერსტზედ ერთი სამცველო სახლია მარტო, მაშინ როდესაც რუსეთში ყოველ ვერსტ-ნახევარზედ ერთი მცველია დაყენებული. განა შეიძლება, რომ კარგი მცველები იყოლიოს გზის სამმართველომ, თუ მას სახლები არ აუშენებია მცველებისათვის? და კავკაზიაში კარგი სახლი მიუცილებლად საჭიროა, რომ კაცი ციებ-ცხელებას ასცილდეს.

---

## «დროების» კორრესპონდენცია

---

ქუთაისი, 4 ივლისს 1874 წ.

აუცილებლად ცუდი მოსავალი უნდა იქნეს წელს იმერეთში. ამას მე ვამბობ შემდეგი საფუძვლით: იმერეთის უმეტეს ნაწილს და თითქმის მთელ იმერეთსაც საზრდოთ მოყავს სიმიდი და არა პური. სიმიდის თესვას აქ დაიწყებენ ხოლმე მარტის გასულს და თესვენ აპრილის გასვლამდის. წელს კი აქ ზოგიერთმა მარტის გასულს კი არა, მაისის გასულსაც ვერაფერი დასთესა. ანკი როგორ დასთესდა კაცი რამეს: მარტის 29-დან დაიწყო აქ ისეთი სიცხეები, როგორიც ზაფხულშიაც არ ყოფილა იმერეთში. ამ სიცხეებმა ისე გაახმო მიწა, რომ არა თუ მოხნა და მოთოხნა, არამედ წალკატითაც არ შეიძლებოდა არც ერთი ბელტის გადმობრუნება. ამ ნაირი სიცხეები იყო თითქმის შუა მაისამდის. შემდეგ მოვიდა წვიმა, მაგრამ ისეთი ტალახი დადგა საყანეებში, რომ ხვნა და თესვა მაინც არ შეიძლებოდა. მგონი მარტო ხუთიოდე დღის განმავალობაში იყო ხვნისა და თესვის ამინდი; მაგრამ ამ ცოტა დროში ბევრმა ვერც კი მოასწრო, რომ წლის საზრდო სიმიდი დაეთესა. დაიწყო ისევ წვიმა და მას აქეთ სულ ყოველი დღითა და ღამით გაუწყვეტელათ წვიმს.

სიმიდი თუმც ამოვიდა, მაგრამ ტალახის გამო აქამდის მარგლა არ შეიძლებოდა და აწ რომ კიდეც დადგეს კარგი ტაროსი, მაინც ბევრისათვის უსარგებლო იქნება, რადგანაც ყანები სულ უსარგებლო ბალახით გაივსო და მარგლის დროს ამ ბალახიდგან სიმიდის გამორჩევა ძალიან გაჭირდება.

მოდი და ამისთანა ტაროსის შემხედვარემ მიეცი კიდევ თავი სიზანტეს და უზრუნველობას.

როგორ იმოქმედა ამ ტაროსმა ქუთაისელებზედ? რაზედ ზრუნვენ ისინი? ქუთაისელები—ღმერთთან სწორი სჯობს—უზრუნველათ არ არიან. თუ მკითხავთ, რა აქვთ ქუთაისელებს საზრუნველიო, მოგახსენებთ, რომ ქუთაისელების საზრუნველია ისევ ის „ვეჩერები და ბალები", როგორიც იყო ამას წინეთ; ისევ ის „კარტი და ნარდი", „სტოსი და რამსი", „ტანცი დამანცი", „კადრილი და ვალსი".

— ბარაქალა ქუთაისელებო! ამფერ! ამფერ! შესძახებს აქ გაკვირვებული მკითხველი. მაგრამ ნუ გიკვირს, მკითხველო. ამას გარდა აქაურებს სხვაც ბევრი აქვთ საზრუნველი. აი, მაგალითებრ: ფაიტონებით „კატაობა", მუდამ „ცრუპენტელაობა", სულ „ენატარტალაობა" და «მუდამ მელიაობა». აი აქაურების ბედნიერება და მე კი მაინც

უბედურაძე.

---

ზუმბრი, 25 ივნისს 1874 წ.

ძლივს არ ასცილდა აქაურობას უბედურობა. უნდა შეგვეხედათ ამ ოცკა დღის წინეთ ხალხისთვის რა მოღრუბლული სახით თავ-ჩაღუნული დადიოდენ, რომ ცა ისე მოწმენდილი იყო. მაგრამ ვაჭრები კი ძრიელ მხიარულად, ქუდი გვერდზე, თავაღებული დასეირნობდნენ. ერთ ც ვნახოთ, ღმერთმა იწყალობა, ცა მოღრუბლა, წვიმა წამოვიდა, საწყალისა და შემძლეს როლი შეეცვალათ. პირველმა თავი მაღლა აიღო, ქუდი გვერდზე გადისწორა და მეორემ კი ჩამოუშვა. ხომ მიხვდი, მკითხველო, რაზედ ვამბობ? საშინელი გვალვა ნოტიოზე შეიცვალა, შიმშილი—სიმაძღრეზე, ესე იგი ათი თორმეტი დღე შეუწყვეტლივ წვიმა მოდიოდა. ქვეყანა გაიღვიძა, სიცოცხლე მიეცა. ეხლა იკითხამ ეს ვაჭრები ვინა არიანო? აი მოგახსენოთ, ეს ვაჭრები ის ჭირია რომელსაც არც სახადი, არც ხოლერა, არც მტრის თავ დასხმა არ შეედრება, სახადი, ხოლერა, მტერი ერთ შაბათ დაგვეცემება თავის ჭინებს დაიკმაყოფილებს, წაიტაცებს ვისაც ხელს მოავლებს და წავა მოგვშორდება. მაგრამ ეს ჭირი—ვაჭარი კი კაცობრიობას ძვალში უზის, ნელ-ნელა ღრღნის, არც მიჰყავს, არც შორდება, ერთი სიტყვით თავს არ აღებინებს. აი ეს ვაჭარი ის შემძლე ხალხია, რომელიც ჩვენ კისერზე გვაზის და ყოველ-მხრით გვჩაგრავს. ამ ვაჭრებთაგანიც აქ ძრიელ ბევრია. ესენი სიიეფის დროს და ხალხში ფულის საჭიროების დროს აგროვებენ იაფად ნასყიდ პურს, ინახვენ და სიძვირის დროს სულს ართმევენ ისეც დაკემულ ხალხს. ამ ჟამათაც ამათ ისე სურდათ, მაგარამ ვერ მოუხდათ. ზვალევის პურმა გაძვირება დაიწყო და ეს შემძლე ხალხი მიაწყდა, შეაგროვა და მერმე სოიმარს (20 ფუთი) თვრამეტიდამ ოც მანათამდის დაუწყეს დაფასება. წვიმები რომ კარგა წამოვიდა ერთ-

---

### ივანე კერესელიძეს.

ჯორჯიბა. ძღლმა რომ ყურდგელი გამოაბრუნოს, დაჭერად ჩაუვარდება.

---

### გრიგოლ არწრუნს.

კატას თევზი უყვარს და წყალში ფეხის დასველება კი ეზარება.

---

### პეტ. სიმონიანცს.

არ გათეთრდება ყორანი, თუნდა რომ ხეხო ქვიშითა.

### კონსტანტინე გებუთოვს.

მირბის, მორბის გაბრიელი,
არვინ არის მადრიელი,
არც რუსი და არც ქართველი.

---

### ე. სტალინსკის.

აზამბორელი თათარი კოჭის თავს მეცილებოდა!

---

### სპანდელს.

ბევრი ოჰოჰო ხარსაც გადარევს.

### გიორგი წერეთელს,

და, მე არ ვჩივი: მიხარიან, რომ აგრე შრება
ჩემი სიცოცხლე შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში!

---

### გ. მ ე ც ნ ი ე რ თ ა:
### პლატონ ფილოსოფოსს.

ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?!

---

### დავით ჩუბინოვს.

შენს სულგრძელებას ჩვენი დღეგრძელება სჭირია!

---

### ალექსანდრე ცაგარელი.

შავი თეთრთან დააბი, ან ფერს იცვლის ან ზნეს,

### სტადლინს

კუდა ხარი თვისთვის არ იყო, სხვას ბუზს უგერებდა:

### ნ.— თელს

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

### ალ.— ძეს

ბრინჯი ვიყავ, ქერობა რათ მინდოდა?
მოდი მითხარ, მწირობა რათ მინდოდა?

---

### გ — შვილს.

ერთს ქვეყანას გამდელი არ იყო, ვირს მთვარისახარს ეძახოდენ.

### ნ.— შიძეს.

შეხედეთ ფარისეველსა,
ლოცვითა ღამის მთეველსა,
ცხადათ ბოროტის დამგმობსა,
ჩუმად კი ცოდვის მდეველსა!

---

### სპირიდონ მაჭავარიანს

მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა,—
ვისცა ეს სრულად არა სჭირს აკლია მიჯნურ ზნეობა?

### ირაკლი ლორთქიფანიძეს

მაგრამ ამბობს, ჩემი სჯობსო, უცილობლობს...

---

### ნ.— სკის

არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემხგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს!

---

### ლუარსაბ ლოლუას

ბედნიერია მამუკა, შვილი ყავს მას საქები,
თქვენს მზეს ვფიცავ, წყალივით იცის აპპელლიაცია!

---

### ე. საადგილმამულო ბანკებს:
### თფილისისას.

ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთს ადგილს ახრჩობს.

---

### ქუთაისისას

ეს თაფლი კარგია, მაგრამ ცოტა კუპრი ურევია.

---

გაშით სოიმარი დაეცა ისევ ერთ თუმანზე. ეხლა რა ქნას ამ ვაჭრებმა, როგორ გაასაღონ ნაყიდი პური, რომ არ იზარალონ? ბოლოს ასე მოახერხეს: გაგზავნეს კაცი საზღვარ გარეთ ყარსში, დაქრთამეს ფაშა, რომ მას აეკრძალა პურის აქეთ პირს გამოტანა და გაყიდვა. ეს როგორც იყო მოახერხეს, დიდი ძალი პური მოსული საზღვარზე დააყენეს და იმ წვიმაში თავლია ეყარა, ასე რომ აჯაჯლდა თურმე, ზოგი ერთ ტომრებში ხორბალი. ბოლოს, რომ არ იქნა, ერთი ორი კვირის შემდგომ მაინც ნება მისცეს აქეთ გამოტანისა და ეხლა დღიდამ დღეზე თუ არ იკლებს პურის ფასი, არ მატულობს. ამ ვაჭრებმა კი მაინც ვერ მოახერხეს ძვირად გაყიდვა და კარგა ფულს ზარალობენ.

ზოგჯერ აი რას ჩადიან ეს ვაჭრები: უნდათ ხოლმე იაფათ პურის ყიდვა, გაელენ ოსმალეთში, დაქრთამევენ ყარსის ფაშას, რომ იმან გადუწყვიტოს იაფათ ხორბლის და ქერის ფასი. რასაც თურმე ფაშა დასდებს, უარს ვერ ეტყვიან, უნდა ისე გაყიდონ. იცი, მკითხველო, თურმე ამ გვარი შემთხვევა ერთხელ ჩვენშიაც ყოფილა და დღევანდლამდისინ იმ დღეს სწყევლიან. მართლადა რომ ეს საცოდავი ხალხი როგორ გინდა, რომ ჯანს არ იგდებინებდეს, გზები უნდა გაკეთდეს, კისერზე ვაი-ვაგლახი ამას აწევს, ან ფული უნდა გამოიღოს, ან თითონ უნდა გამოვიდეს სამუშაოთ. ჯარი სადმე მიდიოდეს რაც გავლით ხარჯია, ამას წევს. მაგრამ ამათში ყველაზე უარესი კი ეს ვაჭრები არიან, რომელნიც ხალხს კისერზედ ზიან და ისე ტკბილად სისხლ სწოვენ რო არც კი გაალვიძებენ. ამოდენ ხალხის უბედურობასთან მოქრთამობაც ერთი ჭირია, მოდი და შენ თვალი გაიახლე!

S

## ორიოდე სიტყვა მარტვილის სასულიერო სასწავლებელზე.

მარტვილის სასულიერო სასწავლებლის ქუთაისს გადმოტანა არ არის კარგი და სასარგებლო სამეგრელოსთვის.

ამ სასულიერო სასწავლებლის მიზეზით რვა-ცხრა კაცი ცოტად თუ ბევრად ნასწავლი ყოველთვის სამეგრელოში იყო. ამ კაცებს ქონდათ ხალხში მისვლა-მოსვლა, მეგობრობა და ზოგიერთებს ნათესაობაც. თუ ყველას არა, ზოგიერთებს გავლენა ქონდათ ხალხში. ხალხსაც იმედი ქონდა მათი და დაჭირდებოდა რამე თუ არა, ეკითხებოდა ამ ნასწავლ კაცებს.

იქნება ეს სთქვათ, ამ ნასწავლ კაცებში ერთი ორი კოჭლიც ერიაო, მაგრამ ამით ხომ ყველა კოჭლი არ იქნებოდა. ამ გვარი მისვლა-მოსვლით, მეგობრობით და ნათესაობით უსწავლელ ხალხში, ცოტათი მაინც, განათლება ვრცელდებოდა. ეს კაცები, რაკი სასწავლებელი გადმოიტანეს, მოაკლდნენ სამეგრელოს.

სამეგრელოში ისეთი მღვდელი არ არის, რომ მარტვილში ან ნათესავი და ან ნაცნობი არ ყავდეს. ამით მღვდლები სარგებლობდნენ და არ უძნელდებოდათ იმათ შვილების გამოზრდა სასწავლებელში.

ერთმა მღვდელმა შვილი მიაბარა ერთს მარტვილელს და ერთი ხარი მისცა. სანამ ხარი ცოცხალი იყო, მარტვილელს მღვდლისათვის არა უთხოვნია რა; ის ხარს ამუშავებდა და ამით მღვდელს შვილს უნახავდა. კაცი რომ მოკვდება, სხვაგან არ ვიცი და ჩვენში კი მღვდელს მისცემენ მკვდრის ტანისამოსს—ნიშანს. მღვდელი გაყიდის ნიშანს მცირე ფასად, ან ვისმეს აჩუქებს. ვისაც კი შვილი მარტვილს ყავდა, ნიშანს კარგი ფასად ასაღებდა; გაუგზავნიდა თავის შვილის სახლის პატრონს და ის კარგ ანგარიშში ჩაითვლიდა.

მღვდლები, საზოგადოთ, არ იხდიდნენ სახლის ქირას. თუ ვისმეს გადახდია—წლის თავზე ხუთი მინეთი.

თვის თავზე მღვდელი შვილს უგზავნიდა ერთ ფუთ ნახევარ სიმიდის ფქვილს, ან ღომს, ცოტა ყველს, ლობიოს, მარილს და სხვა ამ ნაირ ხორაგებს. ამისთანა მცირე—საზრდოთი შვილი, კარგად, თუ ცუდად, ეზრდებოდა სასწავლებელში.

ვინც კურსს შეასრულებდა და ცოტა შეძლებაც ქონდა, ის ამ სწავლით მაინც არ იყო კმაყოფილი და მიდიოდა სხვა სასწავლებელში. ვისაც შეძლება არ ქონდა, ის აქაურ სწავლას მაინც ღებულობდა: „სადაც ბევრი არ იყოსო, იქ ცოტა კმარ იყოსო.“

რა ქნას ეხლა მღვდელმა, ქუთაისს როგორ გამოზარდოს შვილი, როგორ მოუტანოს ხარჯი? კიდევ არაფერი ბანძელების და მარტვილელებისთვის, ისინი, თითქმის, ახლოს არიან; მაგრამ ჯვარელებმა და ზუგდიდელებმა რა ქნან? წამოიღოს, ან გამოგზავნოს მღვდელმა სამი ბათმანი სიმიდის ფქვილი, ოთხ დღეს მოუნდება კაცი მგზავრობას, თუ ავი დარი დაესწრო, ერთ კვირასაც, პაროშზე და ნავებზე ქირა უნდა აძლიოს. მოვა ქუთაისს, ცხენის დასაბმელი და თავის სადგომის ქირა ცალკე უნდა იხადოს; მოიტანს სამ ან ოთხ ბათმანს სიმიდის ფქვილს. წამოიღოს ერთად ოცი ბათმანი? სიმიდის ფქვილი მალე ფუჭდება. იქ გაყიდოს და აქ იყიდოს? ზარალია. იქ ბათმანი ფქვილი სამშაურად არის, აქ ექვს შაურად. აქ არც ხარი, არც ნიშანი და არც ქალამანი გაუვა ისე, როგორც მარტვილში. აქ მხოლოდ ფული და ფული. საიდამ მოიტანოს მღვდელმა ფული? ჯამაგირი მას არ ეძლევა. სოფლიდამ რაც რამე შემოუვა, სხვა საჭიროებაც ბევრი აწევს კისერზე და მარტო ერთს შვილს ვერ მოიხმარს. ამიტომ მღვდელი შვილს ისე ვერ გამოზრდის ქუთაისს, როგორც სამეგრელოში.

აგერ მეექვსე თვეა, რაც მარტვილის სასწავლებელი ქუთაისს გადმოიტანეს. ვნახოთ ნაყოფი. ნაყოფი აი რა არის: იქ რომ სამასი მოსწავლე იყო. აქ ორმოცდა ათი კაცია(?) უხეიროდ გაზდილს 50 კაცს 5 ხეირიანად გაზდილი სჯობია, მაგრამ თუ ის ხუთი კაციც ისე იზრდება, როგორც ორმოცდა ათი, მაშინ ორმოცდა ათი სჯობია ხუთს.

კაცი ღარიბი ზნეობით ქალაქში უფრო გაფუჭდება, ვიდრე სოფელში, მაშა სადამე ზნეობითი მხარე მოსწავლეთა, საფიქრებელია, რომ მარტვილში უფრო კარგი არ ყოფილიყო.

აქ—მარტვილის სასწავლებელში—ისევ ის მასწავლებლები არიან, რომელნიც იქ იყვნენ. ისინი ისევ იმ მეთოდით და გულმოდგინედ ასწავლიან, როგორც იქ. სასწავლებლის გაუმჯობესობა რაში მდგომარეობს? იმაში რომ სასწავლებელი ქუთაისს გადმოიტანეს და მოსწავლეები დუქნებში სცხოვრებენ? განა სასწავლებლის გაუმჯობესობა სამეგრელოში არ შეიძლებოდა?!

როგორც ყველა საგანს, ეგრეთვე ყველა მოვლინებას, თუ დაწესებულებას აქვს, ორი მხარე: კარგი და ცუდი. როცა ვსჯით საგნის სიკარგეზე ან სიცუდეზე, უნდა გვქონდეს მხედველობაში ორივე მხარე მისი; უნდა შევადაროთ ეს ორი მხარე ერთი მეორეს, უნდა ავსწონოთ და რომელიც უფრო ბევრს იწონის, ის იქნება უფრო ყურადღების მისაქცევი.

სასწავლებლის გადმოტანას კარგი მხარეც აქვს. სწავლა, რაც უნდა იყოს, აქ მომავლისათვის უფრო კარგად წავა. მასწავლებლებსაც გონებით წინწაწევის საშუალება აქ უფრო ბევრი ექნება, ვიდრე სამეგრელოში; მაგრამ საქმე იმაშია, ვინ ისარგებლებს ამ სწავლით. მე ამას ვიტყვი: ისევ ისინი, რომელნიც, რომ არ გადმოეტანათ სასწავლებელი, მაინც მოვიდოდნენ ქუთაისს, ან სხვა სასწავლებელში ისწავლიდნენ. ამათი რიცხვი ძლიერ ნაკლები იქნებოდა მაშინ და ეხლაც ნაკლებია. ნუ უყურებთ იმ რიცხვს შეგირდებისას, რომელიც ეხლა არის სასწავლებელში, ეს მხოლოდ რიცხვია. მოსწავლეები სცხოვრებენ ფურნეებში, დუქნებში და სლობოტკაში, სადაც ორღანის ხმის, უშვერის სიტყვის და გაფუჭებული რუსულ ქართულის მეტს არას გაიგონებენ, სადაც ლოთებს, ქალალდის მოთამაშეებს და სხვა და სხვას... ხედვენ. ამბობენ მოსწავლეებმა ქურდობაც დაიწყესო. აი, კარგი ნაყოფი!

ნათქვამია: „ცუდი კაცი რასაც თავის თავს უზამს, იმას მტერი ვერ უზამსო.“ ეს ანდაზა ასრულდა ჩვენს მღვდლებზე. მღვდლებია ამ საქმეში მიზეზი. ერთი მეორის მტერობით საქმე წაახდინეს. ყველას უნდოდა, რომ სასწავლებელი თავის სოფელში გადმოეტანა. წარმოიდგინეთ, ერთმა მღვდელმა მოინდომა სასწავლებლის გადატანა ფოთს. რაკი ყველას დაკმაყოფილება არ მოხერხდებოდა, ირჩიეს, რომ ყველა ერთად დასჯილიყო და კიდეც დაისაჯეს თავი.

ზოგი ერთმა მღვდლებმა ვითომ მასწავლებლებიც დასაჯეს: „ჩემი შვილი გამორიცხეს სასწავლებლიდამ, მაგრამ გაუძახე აქედამ იმათაც!“ თურმე ამბობდა მღვდელი. ნათქვამია: „ხარმა ხარს ურქინაო და კარგ საბალახოზე გააგდოო“, სწორედ ისე მოსვლია იმ მღვდელს. მასწავლებლისთვის ქუთაისს რომ სჯობია, ამაზედ ლაპარაკიც არ არის საჭირო. არის მასწავლებელი, იქ 420 მანეთს რომ ღებულობდა, აქ 900 მანეთამდის იღებს წელიწადში. ამ მასწავლებელს რომ კითხო: სად სჯობია სასწავლებლისთვისო, რა თქმა უნდა, იტყვის: აქ—ქუთაისსო.

თუგინდ ეგრეც იყოს, ქუთაისს სჯობდეს სასწავლებლისთვის; განა იმაშია საქმე სად სჯობს?! თუ ამაზეა საქმე, მაშ თფილისს გადვიტანოთ სასწავლებელი, იქ სჯობია. მთელს სენაკის უეზდში ერთი სასწავლებელი იყო და ისიც, რაოდა, აქ სჯობიაო, ამიტომ ქუთაისს გადმოიტანეს! მაშ მიროვი სუდიას, უეზდის ნაჩალნიკს ქუთაისს უნდა გადმოყვანა, რადგან იმათთვისაც აქ სჯობია.

ამბობენ: ამ სეკტემბერში იქნებაო სამეგრელოში სამღვდელოების კრება სასწავლებლის თაობაზედო. აბა, ვნახოთ, რა იტყვიან ჩვენი სულიერი მამები და როგორ გაათავებენ საქმეს. ვისურვებ მათთვის, რომ შარშანდლურებ გაძვერობა არ იქნეს მომავალ კრებაში; ვისურვებ, პირადის სარგებლობისთვის საზოგადო სარგებლობა გაპარვით,... გაძვრობით და ფარისევლობით არ გაეყიდოს ვისმეს; ვისურვებ სასწავლებლისთვის საშუალო და კარგი ადგილის ამორჩევას სამეგრელოში; ვისურვებ მათი წახდენილი საქმის მათგანვე გამოკეთებას.

ს. ძიმისტარი-შვილი.

3 ივლისი 1874 წ.

ქ. ქუთაისი.

# რუსეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქამდის ყოველივე სახაზინო ადგილს, სასამართლოს, სამმართველოს და სხვ. უფლება ჰქონდათ, რომ თავისი მიწერ-მოწერა ფოჩტით უასყიდლოდ გაეგზავნათ. ამ უფლების გამო ყოველივე საქმეზედ მიწერ-მოწერა ცოტათი მაინც მრავლდებოდა, რადგანაც არც ერთს ამ გვარს სასამართლოს, ან სამმართველოს არ ენაღვლებოდა ფოჩტის ხარჯი. ამას გარდა სახელმწიფო ბეჭდით ბევრი კერძო პირებიც სარგებლობდნენ და ამ გვარად ფოჩტას ხარჯი ტყუილა-უბრალოდ ემატებოდა. ეხლა მმართებლობა ჰფიქრობს, რომ უფულოდ სახაზინო ქაღალდების გაგზავნ-გამოგზავნა მოსპოს. კამისიას, რომელსაც ამ საქმის განხილვა აქვს მინდობილი, თითქმის გაუთავებია თავის შრომა, როგორც გვაცნობებს რუსული გაზეთი „პეტერბურღის უწყებები“.

— მომავალს წელს გაუთავდება იჯარა გაზეთს „მოსკოვის უწყებებს“, რომელიც უნივერსიტეტის საკუთრება არის და კატკოვსა და ლეონტიევს აქვთ აღებული. ამბობენ, რომ ვადის გათავების შემდეგ, იჯარადრები სხვა საკუთარი გაზეთის გამოცემას აპირებენო.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

„კაი ხუმრობაა“, ვამბობდით ჩვენ წასრულ ნომერში„, თუ ვერსალის მონარხიულ პალატამ გველი გამოზარდა თავის უბეში. ეს სიტყვები ახლა გამართლდა. გველი მართლა იწყებს თავისას. უკანასკნელი დეპეშა გვატყობინებს ერთობ შესანიშნავ გარემოებებს საფრანგეთზედ. ნაციონალურ კრებას გამოუცხადებია მაკმაჰონის მინისტრებისთვის კი არა მარტო, არამედ თითონ ურესპუბლიკის პრეზიდენტისთვის თავის უკმაყოფილება 38 კენჭის უმრავლესობით, ერთ უკანასკნელ პალატის სეანსის დროს. ეს იმასა ნიშნავს, რომ ეხლანდელ ნაციონალურ კრებას აღარ სურს, ბატონი მარშალი თავის ადგილზედ დარჩეს! მაგრამ „სახელოვანი დაჭრილი, რომლის არც სახელი უნახავს კაცს და არც ჭრილობა, ბრძანებს გადაწყვეტით: მე დადგენილი ვარ შვიდი წლით ნაციონალური კრების სურვილით საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტათ. მე ვერ ვეთანხმები იმ გადაწყვეტილების დარღვევას, რომელიც შეეხება ჩემს უფლებას. ამ საგანზედ ერთ წინა სხდომაში ლეგიტამისტმა დეტამპლმა შესძახა მრთლა და კეთილშობილად შემდეგი სიტყვებ: „მარშალის უფლება დადგენილია ჩვენგან ერთი კენჭის ყრით, შესაძლებელია მეორე კენჭის ყრამ შეცვალოს ადრინდელი გადაწყვეტილება.“ მაგრამ მაკ მაჰონი უმტკიცებს ქინიან ლეგიტიმისტებს, რომ ისინი ერთობ სცთებიან. კაი ხუმრობაა, თუ უბედურს ვერსალის, პალატას ნაპოლეონის ნაყმევის პატიოსნებისა და მოქალაქეობის იმედი ჰქონდა! უკეთესად ამბობს ამ ნაირ შემთხვევებზედ ჩვენი რუსთველი: „არა მართებს ყვავსა ვარდი ვირსა რქანი.„

როდესაც მაკ. მაჰონის ეპისტოლე წაიკითხეს ნაციონალურ კრებაში, მაშინვე ერთმა რესპუბლიკელმა დეპუტატმა ბერტოლდმა ისურვა, რომ პალატამ პასუხი მოსთხოვოს, პრე-

ზიდენტს, განმარტებინოს, რა ს ნ ი შ ნ ა ვ ს იმისი სიტყვები? მაგრამ ეს აზრი სამ-ხედრო მინისტრის სისეს მეცდინეობით არ იქმნა მიღებული. უკანასკნელად ახალი დეპეშა გვაცნობებს, რომ მინისტრები ყველა გამოვიდენ სამსახურიდგან და. უ. ბროლის მიანდო მარშალმა ხელახლა კაბინეტის შედგენაო. ეს ამბავი ან ერთობ საეჭოა თვისი უაზრობით, ან და უბრალო ხუმრობა უნდა იყოს. კაცი, რომლის მოქმედება გმო მთლმა საფრანგეთმა და ბოლოს ნაციონალურმა კრებამაც, როგორღა შესძლებს გაჩერდეს თავის ადგილზედ ერთ დღესაც?; საკვირველია.

მაგრამ, გადავხედოთ ერთი თვალის გადაკვრით, რამ ატეხა ეს შფოთი.

როდესაც რომ მართებლობის პარტია და ლეგიტიმისტები გვარიან კარგ სიყვარულით იყო წასრულს კვირეებში, ამ დროს გრაფმა შამბორმა გამოსცა ერთბაშათ მანიფესტი. შამბორი ამ ახალს მანიფესტში ისეთივე პირამთქმელია, მტკიცე და კეთილ-შობილი კაცი. როგორც ყოფილა ის ყოველთვის. შამბორი ამბობს„:მე თქვენი მეფე ვარ, ფრანცუზებო, ნუ-მთხოვთ ნუ რა პირობას. მე ვიცი რაც გიჯობთ თქვენ.“ ახირებული წინადადებაა, მაგრამ უეჭველია კი.

ეს მანიფესტი დაბეჭდა პირველად ველიოს გაზეთმა „უნიონმა.“ მეორე დღეს გაზეთი „Union“ დახურა მმართებლობამ·

ლეგიტიმისტები ერთობ გააგულისა იმ საქმემ და გადაწყვიტეს, რომ მოუკვეთონ ძირი ეხლანდელ სამინისტროს. ისინი ამბობდნენ, რომ მარცხენა მხარე ჩვენსკენ იქნება და გამარჯვება „უეჭველი არისო.

ამ განზრახვით ლუსიენ ბრენმა გამოილაშკრა მინისტრებზედ, და სასტიკად ჰკიცხავდა ამათ შემავიწროებელს და უსამართლო ყოფაქცევას. ლუსიენ ბრენმა მოიწოდა ნაციონალური კრება, რომ მას მიეღო შემდეგი აზრი კენჭის ყრით: „ნაციონალური კრება აცხადებს სამდურავს სამინისტროზედ და გადადის სხვა საქმეების გასარჩევად„. მაგრამ ამ წინადადებამ ვერ გაიმარჯვა.

შემდეგ დეპუტატმა პარიმ შემოიტანა მეორე წინადადება ასეთი: ნაციონალური კრება თანახმად თავისი წინანდელი გადაწყვეტილებისა კისრულობს გაამაგროს რესპუბლიკის პრეზიდენტის მარშალის მაკ მაჰონის უფლება და გამოსცეს კონსტანტიციონალური კანონები. ეს წინადადება ძალიან მოეწონა „ყრუ-ბლუ“ მინისტრებს და გამოაცხადეს, რომ ისინი პარის თანხმა არიან. მგრამ ეს წინადადებაც ჩაშავადა ოცდათვრამეტი კენჭის უმეტესობით. ნაციონალურ კრებამ უარი გამოუცხადა ნდობაზედ არა თუ მინისტრებს, არამედ თითონ უ. მარშალსაც. ამის შემდეგ მაკ მაჰონს უნდა დაეტოვებინა ვერსალის პრეფექტურაში ცხოვრება. ამ ნაირი კენჭის ყრით იყო, რომ გამოვიდა ტიერი 24 მაისს წასრულს წელს. და არც ამდენი კენჭის უმრავლესობით გმო ნაციონალურ კრებამ ტიერის მოქმედება. მაშინ მხოლოდ 16 კენჭით გააშავეს ტიერი, და ეხლა კი მაკ-მაჰონს 38 კენჭი მოუვიდა შავი.

ეხლა ყველა კითხულობს რა იქნება, საფრანგეთში, რითი დაბოლოვდება ეს გაცხარებული ბრძოლა?

უპასუხებთ რამდენთაც შეიძლება. ჩვენ ასე გვესმის ეს საქმე: მონარხიის დაარსება, როგორც გამოაჩინა გამოცდილებამ, ყოვლად შეუძლებელია. პალატაში ხომ არ მოხერხდება უმრავლესობა მიიღოს რომელიმე კანდიდატმა, და ხალხში სულ აღარ არის საგულისხმო რომ გაიმარჯოს. შესძლებელია მხოლოდ ნაციონალური კრების დათხოვნა და ხელ ახალი კენჭის ყრის მოხდენა, სხვა ნაირი წესის დადგენა, ან გაგრძელება ჩვენ ვფიქრობთ წარმოუდგენელია

# განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს ამით, რომ ამ ივლისის თვის 30-ს მოხდება გამგეობაში ვაჭრობა და წესისაებრ სამ დღეს იქით ხელ-მეორედ ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით უნდა გაიცეს შესაბმელ ცხენებზედ ასაღები გარდასახადი სამის წლის ვადით.

---

ამ მოკლე ხანში დაიწყება გაყიდვა ლოლაშვილური კარაქისა და ქართული ყველებისრომელიც გაკეთებულია უ. ა'ულედიანისაგან გამართულს საამხანაგო ყველის ქარხანაში, თრიალეთში.

დაწვრილებითი განცხადება შემდეგ ნომერში.

---

ნაფიცი ვექილის თანა-შემწე ვასილი გიორგის ძე მაჩაბელი კისრულობს კავკასიელი საქმეების ვექილობას სხვა და სხვა სამართველოებში და უმთავრესად სენატში. აგრეთვე სპრავკების გაგზავნას. თითეული სპრავკისთვის უნდა გამოგზავნოთ ხუთი მანეთი.

ადრესი: въ Петербургъ, Малая Садовая домъ № 8, кв. № 24.

## თფილისის სავაჭრო ბანკისა

---

თფილისის სავაჭრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი 1 ივლისიდგან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

### იღებ'ს

(·1 სესხზედ იმ სარგებლიან ქაღალდებში,

ა.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ:

ექვსი თვით . . . . . . . . 7 %

ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ:

ექვსი თვით . . . . . . . . 8 %

2.) სპეციალურს ხელად მიბარებულ ფულში.

ა.) სარგებლიანი ქაღალდებით უზრუნველ-ყოფილს . . . . . . . . . . . . 7%

ბ.) ვექსილებით უზრუნველყოფილს . $7\frac{1}{2}$%

3.) ვექსილების დაცვლაში:

ექვსი თვით . . . . . . . . 9%

4.) უზრუნველ ყოფილის სოლო-ვექსილების დაცვლაში:

ექვსი თვით. . . . . . . . . 9%

ცხრა თვით . . . . . . . . . $9\frac{1}{2}$

5.) საქონლის გირაოში:

რომელიც მოტანილია . . . . . . 9 %

რომელიც გზაშია . . . . . . . 10 %

### იხდის

1.) ხელად მიბარებულ ფულში . . . 5 %

2.) შესანახად მიბარებულში

ა.) მოთხოვნამდის . . . . . . . 5 %

ბ.) ექვსი თვით. . . . . . . . 5 %

გ.) ერთი წლით . . . . . . . . 6 %

დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში — სამმართველოსთან მორიგებით.

სამთავნოდ შესანახი ფული მიიღება: ყველა კერძოობითი პირისაგან, მოვაჭრე საზოგადოებათაგან და ამპანიებისაგან, ეკკლესიებისა და მონასტრებისაგან, სახაზინო და საზოგადობრივს დაწესებულებათაგან,— ას მანეთზედ არა ნაკლები.

ბანკში შენახული ფულების ბილეთები, ფინანსთ-მინისტრის განკარგულების თანახმად, ყველა სასამართლოებში და სახაზინო სამმართველოებში იჯარისა და შეკრულობის გირაოდ მიიღებიან: უვადო და ექვს თვემდის ვადიანი—მანეთი მანეთად და ერთის წლის და მეტის ხნით ვადიანი—ცოტა ნაკლებათ. პოჩტით გამოგზავნილს შესანახს ფულს შემდეგი განცხადება უნდა მოჰყვეს:

---

ВЪ ТИФЛИССКІЙ КОМЕРЧЕСКІЙ БАНКЪ.

Отъ такого-то

ОБЪЯВЛЕНІЕ

Препровождая при семъ столько то рублей, прошу принять эту сумму на вкладъ для обращенія изъ процентовъ на такой то срокъ (или до востребованія, или на такихъ то условіяхъ) и выслать билетъ на мое имя или на имя токого то, или на предъявителя,) по такому то адресу.

Число, мѣсяцъ и годъ. Подпись и мѣстожительство.

---

ორის თვის ანგარიში.

ოძისის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობის ალებ მიცემისა

ესე იგი 1874 წლის 21 მარტიდამ 21-ს მაისამდის

ამხანაგობაში ირიცხება წევრად ას სამოცდა სამი კაცი.

ა.) შემოსავალი

1.) წევრთაგან შემოტანილა საწილო ფული . . . . . . . . 994 მ. 20 კ.

2.) სესხი, მიღებული ამხანაგობისაგან დამფუძნებელთაგან . . 1500 მ.

3.) სარგებელი, აღებული გასესხებული ფულისაგან . . . . 68 მ. 10 კ.

4.) სავაჭრო ბანკში შეტანილის ფულის სარგებელი . . . . . . 8 მ. 40 კ.

სულ შემოსულა 2,570 მ. 70 კ.

ბ.) გასავალი

1.) გასესხებულა . . . . . 1135 მ.

2.) დახარჯულა გამგეობის გასამართავად . . . . . . . 160 მ.

სულ გასულა 1,295 მ.

გ.) კასსა.

1.) ფული არის სავაჭრო ბანკში სასარგებლით . . . . . . 8,07 მ. 60 კ.

2.) ამ ფულს ერგება სარგებელი ბანკიდამ . . . . , . . . მ. 40 კ.

3.) ნაღდი ფული არის კასსაში . . 459 მ. 70 კ.

სულ 1,275 მ. 70 კ.

გასავალი არის 1,295 მ.

ერთიანი ჯამი 2,570 მ. 70 კ.

გამგეები აზ. მიხეილ ქადაგოვი.

გრიგოლ ოსეფოვი·

ს. ოძისი 22-ს მაისს 1874 წელსა.

---

ქალაქს თფილისში,

სემინარიას ქვეშ სარდაფში ისყიდება

ნამდვილი ბუნებითი

კახური ღვინოები

თ. რ. და ი. ერისთავებისა

და სხვა კახეთის მემამულეთა ვენახებისა

თვითოული ბოთლის ფასი

ერთის აბაზიდგან მანეთ ნახევრამდის.

---

| რკ.გზა· | დილა | | საღამ. | | I კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | | 38 |
| გორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია. | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | 10 | 2 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . | 11 | 27 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | 3 | 2 | დილა | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 7 | 35 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 10 | 12 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | 1 | 49 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 49 | 3 | 32 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — კვირა საღამ. 6 საათ.

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს —

ოდესას —

გ) ბაქოდამ:

ასტრახნისკენ — სამშ. ხუთშ. დილ.

ასტრაბადისკენ — კვირა შუაღამეს

| ტელეგრაფი | მ. | კ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | - | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 3 | — |
| სპარსეთში . . . . . . | 5 | 76 |
| ოსპალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში: | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . | 4 | — |

### ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

ყოველგან — პარასკევობით ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ამას გარდა ოზურგეთს — ორშაბ. ბაქოს — სამშაფ. განჯას — ოთხშაბათს (შუადღემდი)

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

ყოველგან—ორშაფ. ამას გარდა თფილისს და რუსეთს — ოთხშაბ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს—ხუთშაბ. და შაბათ. (საღამომდე.)

გ) გ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან—ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე.)

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან — ყოველ დღე.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 21 ივნისს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33\frac{1}{4}$ პენსი. | — | 83 |
| პარიჟში 351 სანტიმი. | — | 88 |
| ესკონტი(სარგებლისფასი) | 6 | 50 |
| ბანკის ბილეთი 5% | 97 | 50 |
| მოგებიანი(პირველისესხი) | 173 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 170 | — |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 85 | — |
| მოსკოვის (5%). . . | 87 | 50 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 261 | — |
| ფოთი-თფილ.რკინ.გზის | 132 | 50 |
| შავიზღვის ცეც. გემების | 535 | — |
| კავკასის და მერკურის. . | 180 | — |
| პირვ. უზრუნვ.მყოფი საზ. | 645 | — |
| პეტერბ. უზრ. მყოფი საზ | 262 | 50 |
| მოსკოვისუზრ.მყოფი საზ. | 260 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 3 ივლისს | | |
| პური განჯისა . . | 1 | 45 |
| ქერი. . . . . | — | 70 |
| ბამბა ერევნისა . . | 5 | 40 |
| —ამერიკისა . . | 6 | 60 |
| გაპენტილი ბამბა . | 8 | — |
| მატყლი თუშური . | 7 | — |
| —თარაქამისა . . | 4 | 50 |
| აბრეშუმი . . . | 7 | — |
| ქონი . . . . . | 4 | — |
| ქონის სანთელი . . | 6 | — |
| სტეარინის სანთელი . | 10 | 50 |
| ხორცი ძროხისა . | — | 62 |
| — ცხვრისა . . | — | 72 |
| სპირტი . . . . | 8 | — |
| შაქარი კარგი . . | 8 | 65 |
| — ფხვნილი . . | 7 | 50 |
| ყავა გრგვალი . | 18 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა . | 7 | — |
| ოქრო . . . | 5 | 94 |

### სახაზინო განცხადებანი

— კავკაზის პრიკაზის განკარგულებით თელავის უეზდის სამმართველოშია 9 სექტემბერს უნდა მოხდეს ვაჭრობა და წესისაებრ ხელმეორედ ვაჭრობა სოფელს კურდღელაურს მდებარე ვენახის გასასყიდად. ამ ვენახზედ ითვლება 4000 მანეთი ვალი. დაფასებითი აღწერა ნახეთ თელავის უეზდის სამმართველოში.

— კავკაზის პრიკაზის განკარგულებით ამავე დღეს დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში ვაჭრობა და წესისაებრ ხელ-მეორეთ ვაჭრობა ქვის სახლის გასასყიდათ, რომელზედაც 2300 მანეთი ვალი არის. დაფასებითი აღწერილობა შეიძლება ნახოთ გუბერნიის სამმართველოში.

— 16 სექტემბერს კავკაზის პრიკაზში დანიშნულია ვაჭრობა და ხელ მეორედ ვაჭრობა ერთი ქვითკირით სახლების გასასყიდად, რომელზედაც ითვლება 1,600 მანეთი ვალი. დაფასებითი აღწერა ნახე პრიკაზში.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Іюля 1874 г.* მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე